დამტკიცებულია:

შესულია ცვლილება 14.01.2023წ, ბრძ N 2.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი,

მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

(კონსოლიდირებული)

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და

სამიზნე ნიშნულები

1. სასწავლო წლის დასაწყისში ფაკულტეტებთან შეთანხმებით იწყება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი მომავალი სასწავლო წლისთვის.
2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია შესაბამის სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით.
3. ფაკულტეტის მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.
4. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.
5. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხდება წინა წლების სტატისტიკური მონაცემებისა და სამიზნე ნიშნულების საფუძველზე:
   - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ჩარიცხული სტუდენტები;
   - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ჩარიცხული სტუდენტები;
   - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ჩარიცხული სტუდენტები;
   - ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტები;
   - საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხული სტუდენტები;
   - მობილობის წესით გადმოსული სტუდენტები და სხვ.
   - მობილობით გადასული სტუდენტები და სხვ.
   - სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა სემესტრების მიხედვით;
   - სტატუსშეწყვეტილ სტუდენტთა რაოდენობა სემესტრების მიხედვით;
   - სტატუსაღდგენილ სტუდენტთა რაოდენობა სემესტრების მიხედვით;
   - ვაკანტური ადგილების რაოდენობა;
   - მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით;
   - შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;
   - კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
   - მიმდინარე სასწავლო წლისთვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობა.